



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/14

ქ. თბილისი

7 თებერვალი 2025წ

**“საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესში”
ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის № 01-05-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-04/70 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- 1.1 პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
5. ვერიფიკაციის პროცესის სქემა - პასუხისმგებელი, მონაწილე პირები და ვერიფიკაციის ეტაპები განისაზღვრება დანართი 1-ის შესაბამისად.
- 1.2 მე-2 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სტუ-ის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, საფაკულტეტო ბრძანებით ამტკიცებს ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და/ან პროფესიული მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი. ჯგუფს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ჩართულობით, პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ადგენს ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
3. ვერიფიკაციის გეგმა დამტკიცებამდე უნდა შეთანხმდეს სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
4. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
5. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვერიფიკაციის დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ვერიფიკაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის ციკლის დასრულების შემდეგ, განხორციელებული საქმიანობის შესახებ, დეტალურ დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს.
7. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.

1.3 მე-3 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
7. შეფასების სისტემა სამართლიანი და ობიექტურია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის პროფესიულ სტუდენტს საშუალებას

აძლევს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა თანაბარ პირობებში არის ჩაყენებული.

1.4 4 მე -4 მუხლის მე 5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის.

1.5 „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დანართ 1-ს შეეცვალა დასახელება და ეწოდა "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესის სქემა". მასში შეიცვალა ვერიფიკაციის და ვალიდაციის კონკრეტულ ეტაპებზე და მასში მონაწილე / ინფორმირებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის სიმბოლოები.

1.6 „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დანართ 2 - ს შეეცვალა დასახელება და ეწოდა "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დასკვნა".

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს.
2. უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაცია (შემდგომში - „ვერიფიკაცია“) არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობას და ობიექტურობას.
4. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით.
5. ვერიფიკაციის პროცესის სქემა - პასუხისმგებელი, მონაწილე პირები და ვერიფიკაციის ეტაპები განისაზღვრება დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. სტუ-ის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, საფაკულტეტო ბრძანებით ამტკიცებს ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და/ან პროფესიული მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი. ჯგუფს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ჩართულობით, პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ადგენს ვერიფიკაციის სამოქმედო

გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

3. ვერიფიკაციის გეგმა დამტკიცებამდე უნდა შეთანხმდეს სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
4. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
5. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვერიფიკაციის დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ვერიფიკაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის ციკლის დასრულების შემდეგ, განხორციელებული საქმიანობის შესახებ, დეტალურ დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს.
7. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.

მუხლი 3. ვერიფიკაციის პროცედურა

1. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
2. ვერიფიკაციის პროცედურა დაფუძნებულია დოკუმენტური კვლევის მოდელზე, რაც გულისხმობს არსებული შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შესწავლას. ვერიფიკაციის პროცესი არ გულისხმობს ყველა სტუდენტის შეფასების დოკუმენტური მასალის შესწავლას, ვერიფიკაციის ჯგუფი წინასწარგანსაზღვრული რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე მოახდენს შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების შერჩევას.
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
 - ა) ვალიდურობა;
 - ბ) სანდოობა;
 - გ) გამჭვირვალობა;

- დ) სამართლიანობა და ობიექტურობა.
4. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
 5. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
 6. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის.
 7. შეფასების სისტემა სამართლიანი და ობიექტურია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის პროფესიულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა თანაბარ პირობებში არის ჩაყენებული.
 8. რისკების სისტემა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი; ახალი პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი; შეფასების ინსტრუმენტში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; სხვა ობიექტური გარემოებები, გაუთვალისწინებელი რისკები. თითოეული რისკ-ფაქტორი ფასდება უმნიშვნელო, მნიშვნელოვანი და კრიტიკული რისკ-ფაქტორად.
 9. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები პასუხისმგებლები არიან ისეთ პროცედურებზე როგორცაა:
 - ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა;
 - ბ) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;
 - გ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;
 - დ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე და რეკომენდაციებზე;
 - ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.
 10. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები - მონაწილეობენ ისეთ პროცედურაში, როგორცაა:

ვერიფიკატორი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი)

- ა) რისკების ანალიზის საფუძველზე ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ფიზიკური იდენტიფიცირება და გამოთხოვა;

- ბ) ინსტრუმენტის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;
- გ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
- დ) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
- ე) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
- ვ) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;
- ზ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;
- თ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).
- ი) ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

ვერიფიკატორი დარგის კუთხით - პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი

- ა) ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
- ბ) მტკიცებულებათა საკმარისობის და ვალიდურობის შეფასება;
- გ) შეფასების გარემოს (A, B, C) შესაბამისობის შეფასება;
- დ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
- ე) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;
- ვ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;
- ზ) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენაში მონაწილეობა (საჭიროების შემთხვევაში);
- თ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

სტუდენტი

- ა) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;
- ბ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
- გ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 4. ვერიფიკაციის დასკვნა

1. ვერიფიკაციის ჯგუფი, პროცესის დასრულების შემდეგ ადგენს ვერიფიკაციის დასკვნის პროექტს დანართი 2-ის შესაბამისად, რომლის შედგენაზე პასუხისმგებლები არიან ვერიფიკატორები.
2. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს რელევანტური და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე,

სამართლიანი და ობიექტური; იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

4. დასკვნის პროექტის განხილვისას ხორციელდება შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე და რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში), რის შემდეგ ვერიფიკაციის ჯგუფი უზრუნველყოფს ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენას დანართი 2-ის შესაბამისად.
5. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის.
6. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;
7. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესის სქემა

ეტაპზე პასუხისმგებელი - ✓

მონაწილე - ■

ინფორმირება - ●

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ფაქულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი,	ვერიფიკატორი (დარგი)	პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესიული პროგრამის მასწავლებელი	სტუდენტი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა	✓				
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა	✓				
ვერიფიკატორების შერჩევა	✓	■	■	■	
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი	✓	■			
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება	✓	■			
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა	✓		■	■	
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა	■		■	■	
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით	■	✓	■	■	
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება	■		■	■	
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება	■		■	■	
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება	■	✓			

მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება	■	✓			
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება	■		■	■	
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად	■		■	■	■
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება	■	✓	■	■	
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება	■	✓	■	■	
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება	■	✓	■	■	
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება	■	✓	■	■	
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება	■	✓			■
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით	■	✓			
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა	■	✓			
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე	✓				
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)	✓				
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა	■	✓	●	●	✓
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)	■		✓	✓	
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)	■		✓	✓	✓
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)	✓	✓	✓	✓	✓

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების
ვერიფიკაციის პროცესის დასკვნა**

მოდული/სწავლის შედეგი -----

შემფასებელი -----

შეფასების პერიოდი -----

ვერიფიკატორი -----

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
--------------------	-----------------------	------------	-----------	----------------------------------	--------------

ვალიდურობა

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი			

		ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
--	--	-----------------------------	--	--	--

სანდოობა

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			

გამჭვირვალობა

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით,			

		რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			

სამართლიანობა

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			

	<p>შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ</p>	<p>შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა</p>			
	<p>შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ</p>	<p>შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა</p>			
	<p>შეფასებული პირის ინტერვიუება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).</p>	<p>შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით</p>			

ობიექტურობა

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			